ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება:ბ37. 3723097001
თარიღი:07/04/2023

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატების შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული წესის 25^1-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული - საკრებულოს აპარატის, მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საორგანიზაციო მომსახურების საკითხებში, ვაკანტურ თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით შიდა კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას საკონკურსო კომისია.

2. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა თავდუმაძე.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს განსაზღვროს კომისიის წევრთა რაოდენობა და შემადგენლობა.

4. კონკურსის ჩატარების წესი და პირობები, აგრეთვე საკონკურსო კომისიის საქმიანობის დეტალური წესი განისაზღვრება „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი ი. სიორიძის ქუჩა №14, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/